ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1720290

ნომერი: AR1278546

თარიღი : 20.01.2015

გაცემის თარიღი : 06.02.2015

გაცნობის თარიღი : 06.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გერგეთი , N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ღვინიაშვილი პ/ნ 31001006378
- მცხეთა სამხედროს ქ. N 11ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ქ. თბილისში ,გერგეთის ქ. N3–ში, ღობის შეცვლის/მოწყობის საკითხი გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხი განმეორებით უნდა იქნას წარმოდგენილი : " არსებული მსუბუქი ღობე შეზღუდული სივრცისათვის უკეთ აღიქმება, საპროექტო ღობით კი სივრცე იხურება. დასაშვებია მსუბუქი, გამჭოლი ღობის მოწყობა." (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 04.02.2015 წლის Nდ/13/12/09

წერილი). სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. მამუკა ღვინიაშვილს , უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. მამუკა ღვინიაშვილს, ქ. თბილისში, გერგეთის ქ. N3–ში, ღობის შეცვლის/მოწყობის პროექტის შეთანხმების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.